

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. შემოსავალი	17
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	17
7. კომერციული ხარჯები	18
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
9. ფინანსური ხარჯი	18
10. ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა.....	18
11. ძირითადი საშუალებები.....	19
12. იჯარები.....	20
13. მარაგები	20
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
16. მიღებული სესხები.....	21
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
19. პირობითი ვალდებულებები.....	23
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	23
მმართველობის ანგარიშგება	
1. საქმიანობის მიმოხილვა:	29
2. განვითარების გეგმები:.....	29
3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:	29
4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ :	29
5. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები:	29
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	30
7. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ:.....	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ვისოლ ავტო ექსპრესის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვისოლ ავტო ექსპრესის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენნი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც ნაჩვენებია, რომ კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 18,247,682 ლარს. აღნიშნული, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები - კოვენანტები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზოგიერთ არაფინანსურ ვალდებულებას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა

არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 ივნისი 2025

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 ივნისი 2025

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	22,977,283	19,905,759
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(19,836,389)	(16,556,229)
საერთო მოგება		3,140,894	3,349,530
კომერციული ხარჯები	7	(1,995,092)	(1,925,862)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,259,419)	(1,134,641)
ფინანსური შემოსავალი		12,594	22,701
ფინანსური ხარჯი	9	(525,145)	(327,525)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	14	18,672	66,538
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	10	(161,999)	(167,081)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		(159,843)	(224,091)
ზარალი დაბეგვრამდე		(929,338)	(340,431)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(929,338)	(340,431)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 18 ივნისი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნიკოლოზ ხოდელი

მთავარი ბუღალტერი

ნატა ჯაფარიძე

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	22,977,283	19,905,759
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(19,836,389)	(16,556,229)
საერთო მოგება		3,140,894	3,349,530
კომერციული ხარჯები	7	(1,995,092)	(1,925,862)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,259,419)	(1,134,641)
ფინანსური შემოსავალი		12,594	22,701
ფინანსური ხარჯი	9	(525,145)	(327,525)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	14	18,672	66,538
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	10	(161,999)	(167,081)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		(159,843)	(224,091)
ზარალი დაბეგვრამდე		(929,338)	(340,431)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(929,338)	(340,431)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 18 ივნისის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნიკოლოზ ხოდელი

მთავარი ბუღალტერი _____ ნატა ჯაფარიძე

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	1,008,798	1,043,643
აქტივის გამოყენების უფლება	12	454,957	543,796
არამატერიალური აქტივები		75,933	86,591
		1,539,688	1,674,030
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები		7,538	2,809
მარაგები	13	8,665,176	6,805,445
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,712,001	2,959,647
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	352,044	1,010,394
		11,736,759	10,778,295
სულ აქტივები		13,276,447	12,452,325
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		24,400,163	24,400,163
დაგროვილი ზარალი		(18,247,682)	(17,318,344)
		6,152,481	7,081,819
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	16	-	746,412
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	12	494,877	615,780
		494,877	1,362,192
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16	3,716,098	1,747,953
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,728,617	2,045,135
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	12	135,943	115,367
საგადასახადო ვალდებულებები		48,431	99,859
		6,629,089	4,008,314
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,276,447	12,452,325

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2022	24,900,163	(16,977,913)	7,922,250
წლის სრული ზარალი	-	(340,431)	(340,431)
კაპიტალის შემცირება	(500,000)	-	(500,000)
31 დეკემბერი 2023	24,400,163	(17,318,344)	7,081,819
წლის სრული ზარალი	-	(929,338)	(929,338)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	24,400,163	(18,247,682)	6,152,481

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(929,338)	(340,431)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		362,457	289,007
აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		(18,040)	(35,693)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	14	(18,672)	(66,538)
მარაგების ჩამოწერა/(აღდგენა)		116,986	(11,047)
საპროცენტო ხარჯი	12	525,145	327,525
საპროცენტო შემოსავალი		(12,594)	(22,701)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	9	161,999	167,081
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში		187,943	307,203
ცვლილებამდე			
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(1,976,717)	424,492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		250,552	(29,613)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,746,380	3,089,620
საგადასახადო ვალდებულების (შემცირება)/ზრდა		(51,428)	27,336
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,156,730	3,819,038
გადახდილი პროცენტები	12,16	(514,395)	(343,438)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		642,335	3,475,600
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(481,169)	(612,206)
ძირითადი საშუალებების გასვლა		38,104	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(3,000)	(82,485)
მიღებული პროცენტები		12,594	22,435
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(433,471)	(672,256)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	16	7,303,929	2,417,370
სესხების დაფარვა	16	(7,981,130)	(3,871,845)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	12	(100,327)	(91,894)
კაპიტალის შემცირება		-	(500,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(777,528)	(2,046,369)
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ ზრდა		(568,664)	756,975
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,010,394	348,021
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	10	(89,686)	(94,602)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		352,044	1,010,394

10-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვისოლ ავტო ექსპრესი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. რეგისტრაციის თარიღი: 15 ნოემბერი 2010, ს/კ: 404878806). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტონაწილებისა და საავტომობილო სითხეების იმპორტი და საბითუმო/საცალო ვაჭრობა სერვის ცენტრების მეშვეობით. დამატებით, კომპანია ასევე ეწევა ძირითად საავტომობილო მომსახურებას. კომპანიის იურიდიული მისამართია: ი.ჭავჭავაძის გამზ. #74ბ, ვაკის რაიონი, თბილისი. კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ ხოდელი.

საერთაშორისო ბრენდების (ჯი-ენერჯი, ვიანორი) წარმომადგენლობების ფარგლებში შპს „ვისოლ ავტო ექსპრესმა“ ავტოსერვისის სფეროში უკვე 13 წლიანი გამოცდილება დააგროვა. 2023 წელს შეიქმნა ახალი ქართული ბრენდი „ვინტო“. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ფლობს 6 საკუთარ ობიექტს და 6 ობიექტს ფრანჩაიზერის ხელშეკრულებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი მფლობელი იყო სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (სკ 204161098), რომელიც რეგისტრირებულია და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

	31.12.2024	31.12.2023
ლევან ფხაკაძე	37.50%	37.77%
სამსონ ფხაკაძე	31.25%	30.98%
გიორგი რამიშვილი	15.50%	15.50%
ნუგზარ აბრამიშვილი	6.25%	6.25%
ალექსი თოფურია	7.12%	7.12%
დევიდ ბორგერი	2.38%	2.38%
	100.00%	100.00%

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ აქვეყნებს ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლებისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის დაგროვილი ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18,247,682 ლარს, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე კომპანიის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა გეგმა კომპანიის სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, კერძოდ:

- სადისტრიბუციო და მარკეტინგული მიმართულებების გააქტიურებით მოხდა ბრუნვის ზრდა, განხორციელდა რეზერვინგთან დაკავშირებული სამუშაოები, იგეგმება ახალი ფილიალების გახსნა, სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფის ქსელების სისტემაში სრული ინტეგრირება, ექსკლუზიური კონტრაქტების გაფორმება მომწოდებელ კომპანიებთან, რაც შეამცირებს მარაგების თვითღირებულებას და გაზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე;
- დამფუძნებელი საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამს მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზიზებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი საადრიცხო პოლიტიკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 21-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს სრულ ფასს შესაბამისი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

კომპანიის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლილების განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ისტორიული მონაცემებით. კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაცროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენისა და კონტროლის მიზნით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, რისკი საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	7,538	2,809
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,576,860	2,554,208
ფული და ფულის ეკვივალენტები	351,120	1,008,558
	2,935,518	3,565,575
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	3,716,098	2,494,365
საიჯარო ვალდებულება	630,820	731,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,664,512	2,039,640
	7,011,430	5,265,152

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე, ასევე რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების

საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	7,538	2,809
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,576,860	2,554,208
ფული და ფულის ეკვივალენტები	351,120	1,008,558
	2,935,518	3,565,575

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-14 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

	1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2024
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,664,512	-	-	-	2,664,512
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:					
სესხები	3,716,098	-	-	-	3,716,098
საიჯარო ვალდებულება	205,738	88,790	251,115	984,805	1,530,448
	<u>6,586,348</u>	<u>88,790</u>	<u>251,115</u>	<u>984,805</u>	<u>7,911,058</u>
	1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2023
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები:					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,039,640	-	-	-	2,039,640
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები:					
სესხები	1,867,938	534,741	267,370	-	2,670,049
საიჯარო ვალდებულება	205,738	205,739	256,200	1,068,510	1,736,187
	<u>4,113,316</u>	<u>740,480</u>	<u>523,570</u>	<u>1,068,510</u>	<u>6,445,876</u>

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ევრო	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,570	219,072	-	220,642
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	50,367	-	50,382
	<u>1,585</u>	<u>269,439</u>	<u>-</u>	<u>271,024</u>
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-	175,212	-	175,212
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,092,434	436,533	115,433	1,644,400
	<u>1,092,434</u>	<u>611,745</u>	<u>115,433</u>	<u>1,819,612</u>
ღია სავალუტო პოზიცია	<u>(1,090,849)</u>	<u>(342,306)</u>	<u>(115,433)</u>	
	ევრო	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34,474	770,757	33,618	838,849
ფული და ფულის ეკვივალენტები	427	14,255	-	14,682
	<u>34,901</u>	<u>785,012</u>	<u>33,618</u>	<u>853,531</u>
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	1,683,752	810,612	-	2,494,364
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	367,984	787,533	443,168	1,598,685
	<u>2,051,736</u>	<u>1,598,145</u>	<u>443,168</u>	<u>4,093,049</u>
ღია სავალუტო პოზიცია	<u>(2,016,835)</u>	<u>(813,133)</u>	<u>(409,550)</u>	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევ რო +20%	ლარი/ევ რო -20%	ლარი/რუბ ლი +20%	ლარი/რუბ ლი -20%
მოგება(ზარალი)	(68,461)	68,461	(218,170)	218,170	(23,087)	23,087
გავლენა კაპიტალზე	(58,192)	58,192	(185,444)	185,444	(19,624)	19,624
2023	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%	ლარი/ევ რო +20%	ლარი/ევ რო -20%	ლარი/რუბ ლი +20%	ლარი/რუბ ლი -20%
მოგება(ზარალი)	(162,627)	162,627	(403,367)	403,367	(81,910)	81,910
გავლენა კაპიტალზე	(138,233)	138,233	(342,862)	342,862	(69,624)	69,624

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

5. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	23,277,883	19,991,065
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	287,838	224,085
უკან დაბრუნებული საქონელი	(588,438)	(309,391)
	22,977,283	19,905,759

შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან:

	2024	2023
საცხე-საპოხი მასალები	10,188,952	9,603,306
საბურავები	5,978,758	5,524,310
ავტო ნაწილები	5,778,112	3,975,493
საწვავის დანამატი	891,179	537,680
ანტიფრიზი	358,985	206,523
სხვა	81,897	143,753
	23,277,883	19,991,065

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა	(18,799,832)	(15,789,814)
სახელფასო ხარჯები	(757,011)	(582,706)
სერვის-ცენტრების საიჯარო ხარჯები	(370,480)	(285,894)
ცვეთა	(98,507)	(58,241)
სერვის-ცენტრების აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(22,964)	(22,921)
სერვის-ცენტრების სხვა ხარჯები	(220,345)	(63,349)
უკან დაბრუნება	432,750	246,696
	(19,836,389)	(16,556,229)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა პროდუქციის სახეობების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საცხე-საპოხი მასალები	(8,463,978)	(7,623,909)
საბურავები	(4,747,484)	(4,163,655)
ავტო ნაწილები	(4,617,864)	(3,312,353)
საწვავის დანამატი	(758,202)	(419,448)
ანტიფრიზი	(206,792)	(140,708)
სხვა	(5,512)	(129,741)
	(18,799,832)	(15,789,814)

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. კომერციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,333,985)	(1,126,441)
მარკეტინგის ხარჯები	(239,943)	(421,048)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(291,052)	(256,295)
ცვეთა	(130,112)	(122,078)
	(1,995,092)	(1,925,862)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(847,510)	(732,887)
ბანკის საკომისიო	(103,036)	(71,968)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(65,875)	(65,875)
მივლინების ხარჯი	(59,924)	(22,670)
ცვეთა და ამორტიზაცია	(44,999)	(19,891)
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯები	(28,554)	(27,670)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(18,304)	(32,362)
კომუნალური ხარჯები	(17,181)	(26,842)
საგადასახადო ხარჯები	(10,375)	(8,117)
სხვა	(63,661)	(126,359)
	(1,259,419)	(1,134,641)

9. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯები ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(271,000)	(127,011)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(105,412)	(113,845)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე	(22,915)	(66,506)
საბანკო გარანტიის ხარჯი	(125,818)	(20,163)
	(525,145)	(327,525)

10. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტი	(89,686)	(94,602)
ფინანსური ინსტრუმენტები	(72,313)	(72,479)
	(161,999)	(167,081)

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მსუბუქი კონსტრუქცია	მანქანა- დანადგარე ბი	სარეკლამ ო მასალები	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა	ოფისის აღჭურვი ლობა	სხვა აღჭურვილო ბა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	35,625	323,652	205,349	108,601	124,951	569,413	275,234	103,544	1,746,369
შემოსვლა	-	30,591	106,047	21,596	134,500	274,855	72,858	11,749	652,196
2023 წლის 31 დეკემბერი	35,625	354,243	311,396	130,197	259,451	844,268	348,092	115,293	2,398,565
შემოსვლა	-	34,364	38,677	18,501	17,183	103,672	31,012	1,770	245,179
გასვლა	-	(4,834)	(1,967)	5,667	(9,000)	(20,389)	(5,745)	(908)	(37,176)
2024 წლის 31 დეკემბერი	35,625	383,773	348,106	154,365	267,634	927,551	373,359	116,155	2,606,568
დაგროვილი ცვეთა									
2022 წლის 31 დეკემბერი	(10,653)	(204,869)	(135,715)	(78,336)	(111,695)	(356,931)	(245,625)	(22,784)	(1,166,608)
ცვეთა	(1,853)	(28,984)	(29,290)	(10,157)	(49,815)	(24,328)	(38,623)	(5,264)	(188,314)
2023 წლის 31 დეკემბერი	(12,506)	(233,853)	(165,005)	(88,493)	(161,510)	(381,259)	(284,248)	(28,048)	(1,354,922)
ცვეთა	(1,853)	(31,897)	(42,217)	(15,223)	(56,702)	(56,052)	(50,023)	(5,993)	(259,960)
გასვლა	-	322	618	2,725	2,261	5,022	6,083	81	17,112
2024 წლის 31 დეკემბერი	(14,359)	(265,428)	(206,604)	(100,991)	(215,951)	(432,289)	(328,188)	(33,960)	(1,597,770)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბერი	23,119	120,390	146,391	41,704	97,941	463,009	63,844	87,245	1,043,643
2024 წლის 31 დეკემბერი	21,266	118,345	141,502	53,374	51,683	495,262	45,171	82,195	1,008,798

სრულად გაცვეთილი აქტივები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა 608,713 ლარით და 608,799 ლარით, შესაბამისად.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. იჯარები

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	შენიშვნები
31 დეკემბერი 2022	632,592
ამორტიზაციის ხარჯი	(88,796)
31 დეკემბერი 2023	543,796
ამორტიზაციის ხარჯი	(88,839)
31 დეკემბერი 2024	454,957

კომპანიის აქტივების გამოყენების უფლება მოიცავს 3 უძრავ ქონებას სადაც ძირითადად განთავსებული არის კომპანიის სერვის ცენტრები, სათაო ოფისი და საწყობები. იჯარის ვადები მერყეობს 3 წლიდან - 25 წლამდე. ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული ვადის გაგრძელების, ყიდვის და ხელშეკრულების გაწყვეტის ოფციები. ზღვრულ საპროცენტო განაკვეთად განისაზღვრა იჯარის აღიარების მომენტში არსებული საბაზრო განაკვეთი.

ხელშეკრულებები მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს, რომელთა გადახდაც ხდება ყოველთვიურად.

2024 წელს საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ პროცენტზე ინფორმაცია მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	შენიშვნები
31 დეკემბერი 2022	823,041
საპროცენტო ხარჯი	113,845
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(91,894)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(113,845)
31 დეკემბერი 2023	731,147
საპროცენტო ხარჯი	105,412
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(100,327)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(105,412)
31 დეკემბერი 2024	630,820

13. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საცხე-საპოხი მასალები	3,861,798	3,692,280
საბურავები	2,647,885	1,933,601
ავტო ნაწილები	1,887,758	743,624
ანტიფრიზი	108,581	152,369
სხვა	159,154	283,571
	8,665,176	6,805,445

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	2,576,860	2,554,208
	2,576,860	2,554,208
არაფინანსური მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები	13,644	47,798
გადახდილი ავანსები	644,046	927,249
	657,690	975,047
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		
	(522,549)	(569,608)
	2,712,001	2,959,647

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი	(569,608)	(636,146)
ზრდა/(შემცირება) საანგარიშგებო წლის მანძილზე	18,672	66,538
გაუფასურებული მოთხოვნების ჩამოწერა	28,387	-
საბოლოო	(522,549)	(569,608)

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვადაგადაცილების ჯგუფი დღეების მიხედვით	ანარიცხის საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	გაუფასურების ანარიცხი 31.12.2024
0-დან 30 დღემდე	3%	1,871,812	60,235
31-დან 90 დღემდე	38%	270,766	102,204
91-დან 180 დღემდე	82%	131,730	107,640
180 დღეზე მეტი	82%	273,859	223,777
ინდივიდუალური	100%	28,693	28,693
		2,576,860	522,549

ვადაგადაცილების ჯგუფი დღეების მიხედვით	ანარიცხის საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	გაუფასურების ანარიცხი 31.12.2023
0-დან 30 დღემდე	1%	1,642,656	15,592
31-დან 90 დღემდე	32%	410,018	132,962
91-დან 180 დღემდე	83%	275,454	228,570
180 დღეზე მეტი	83%	197,387	163,790
ინდივიდუალური	100%	28,693	28,694
		2,554,208	569,608

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	309,031	993,876
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	42,089	14,682
ფული სალაროში	924	1,836
	352,044	1,010,394

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

16. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები:	დასრულების თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
სს „ბაზისბანკი“	29/06/2026	ევრო	EURIBOR+5.2 5%	-	746,412
				-	746,412

მოკლევადიანი სესხები:	დასრულების თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023
სს „თიბისი ბანკი“	20/12/2027	ლარი	15.3%	1,500,000	
სს „თიბისი ბანკი“	08/01/2025	აშშ დოლარი	3%	175,212	
სს „თიბისი ბანკი“	17/03/2027	ლარი	13%	1,034,275	
სს „თიბისი ბანკი“	17/03/2025	ლარი	13%	1,006,611	
სს „ბაზისბანკი“	29/06/2026	ევრო	EURIBOR+5.2 5%	-	442,973
სს „ბაზისბანკი“	28/06/2024	ევრო	EURIBOR+5.2 5%	-	493,341
სს „თიბისი ბანკი“	01/03/2024	აშშ დოლარი	4.8%	-	131,174
სს „თიბისი ბანკი“	05/01/2024	აშშ დოლარი	3.0%	-	219,864
სს „თიბისი ბანკი“	30/04/2024	აშშ დოლარი	3.0%	-	342,521
სს „თიბისი ბანკი“	06/02/2024	აშშ დოლარი	3.0%	-	117,053
სს „თიბისი ბანკი“	-	ევრო	3.0%	-	1,027
				3,716,098	1,747,953
სულ გადასახდელი ძირი				3,702,065	1,744,670
სულ გადასახდელი პროცენტი				14,033	3,283
				3,716,098	1,747,953

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები და აკრედიტივები უზრუნველყოფილია კომპანიაში არსებული და სამომავლო სასაქონლო-მატერიალური მარაგებით, სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას თავდებობითა და უძრავი ქონებით.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საწყისი	2,494,365	1,445,154
სესხის მიღება	7,303,929	2,417,370
აკრედიტივის არაფულადი ზრდა	2,984,016	3,015,534
დარიცხული პროცენტი	419,733	213,679
სესხების დაფარვა	(7,981,130)	(3,871,845)
აკრედიტივის არაფულადი შემცირება	(1,141,409)	(562,246)
გადახდილი პროცენტი	(408,983)	(229,593)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	45,577	66,312
საბოლოო	3,716,098	2,494,365

2024 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას თიბისი ბანკისგან აქვს აკრედიტივები აღებული. აკრედიტივი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელსაც კომპანია ფართოდ გამოიყენებს საიმპორტო ოპერაციებში - ბანკი, საიმპორტო პროდუქციის საფასურს, შპს „ვისოლ ავტო ექსპრესის“ ნაცვლად უხდის იმპორტიორს, ხოლო კომპანია თანხას უბრუნებს ბანკს დარიცხულ პროცენტთან ერთად.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება		
ვალდებულება იმპორტიორისადმი	1,644,401	1,598,684
სავაჭრო ვალდებულებები	1,020,111	440,956
	2,664,512	2,039,640
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	-
სხვა ვალდებულებები	64,105	5,495
	64,105	5,495
	2,728,617	2,045,135

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან. სავაჭრო ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2024	2023
უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან არსებული ოპერაციები:	173,235	340,339
შრომის ანაზღაურება	173,235	340,339
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:	11,569	(68,476)
გაყიდვები მშობელ კომპანიასთან	608,218	485,197
გაყიდვები სხვა დაკავშირებულ მხარეებზე	77,741	70,011
სხვა შემოსავალი	23,746	14,554
შესყიდვები მშობელი კომპანიისგან	(582,560)	(473,063)
შესყიდვები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან	(3,938)	(82,416)
ფინანსური ხარჯები	(111,638)	(82,759)
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული საბალანსო ნაშთები		
აქტივები	123,225	75,170
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მშობელ კომპანიასთან	28,696	29,778
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	94,529	45,392
ვალდებულებები	564,074	170,078
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მშობელ კომპანიასთან	437,737	52,140
საიჯარო ვალდებულებები მშობელ კომპანიასთან	89,164	91,183
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	37,173	26,754

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები - კომპანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა მე-16 განმარტებით შენიშვნაში წარდგენილი მიღებული სესხების სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს, რომლის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ ჰქონდა მიღებული წერილი აღნიშნული ვალდებულების გადავადებასთან დაკავშირებით, რის გამოც სესხები სრულად წარდგენილია მოკლევადიან სესხებში

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ:

- დედა კომპანიისგან, სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასგან, აიღო ჯამურად 300,000 ლარის სესხი.

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	3,9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. კომპანიას ყველა ფინანსური აქტივი დააკლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში და სალაროში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრისის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ისტორიული მონაცემებით. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება შეიცვალა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტებით. ახალი სტანდარტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეიტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ოჯარები

ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა რომლის საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება აქვს და რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დარიცხვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ხოლო აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანია მხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, რის შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. მომხმარებლებთან გაფორმებული თითოეული ხელშეკრულებისათვის კომპანია: ახდენს კონტრაქტის იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში, როდესაც მყიდველი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე - ეს თარიღი ძირითადად ემთხვევა საქონლის მიწოდების დროს.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

საიჯარო შემოსავალი

შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან, იჯარის პერიოდის განმავლობაში აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, ხოლო შემოსავალი ფინანსური იჯარიდან თავდაპირველი აღიარებისას - მთლიანი საიჯარო ინვესტიციით, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, მაშინ როდესაც ის გამომუშავდება, ან კომპანია მიიღებს ფულადი ნაკადების მოთხოვნის უფლებას.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით. კომპანიას არ აქვს ისეთი ხელშეკრულება სადაც მომსახურების და მომხმარებლისგან მიღებულ ანაზღაურებას შორის პერიოდი აკარბებს ერთ წელს. შესაბამისად, კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ ოპერაციაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა - ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
საოფისე ავეჯი და მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები;	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერსპექტიულ საფუძველზე. დაუმთავრებელი მშენებლობა შედგება მშენებარე ძირითადი საშუალებებისგან და სხვა გრძელვადიანი აქტივებისგან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო

საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - FIFO მეთოდი.

მარაგები გზაში წარმოადგენს საქონელს, რომელიც გამყიდველის მიერ გამოგზავნილია, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწია მყიდველის მიერ განსაზღვრულ დანიშნულების ადგილამდე. მარაგები გზაში კლასიფიკაცია გამოიყენება იმის დასადგენად, რომ კომპანიას აქვს საკუთრების უფლება მარაგებზე, რომლებიც ტრანსპორტირების პროცესშია.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

21. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი (ს/კ 404878806)

1. საკმეიანობის მიმოხილვა:

შპს „ვისოლ ავტო ექსპრესის“ საკმეიანობის სფეროს წარმოადგენს საავტომობილო და ინდუსტრიული საცხებ-საპოხი მასალების, საავტომობილო და სპეციალური ტექნიკის საბურავების, აკუმულატორების, ფილტრების, ზუნდების და სხვა სწრაფცვითადი პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია. საკმეიანობის არეალი არის საქართველოს მასშტაბით. კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს 2011 წლიდან.

კომპანია არის რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, როგორებიცაა: Total (საფრანგეთი, ზეთები), Orlen oil (პოლონეთი, ზეთები), Devon (რუსეთი, ზეთები), Nokian (საბურავები, ფინეთი), Pirelli (იტალია, საბურავები) და ა.შ.

კომპანია მუშაობს გაყიდვების რამდენიმე მიმართულებით, როგორც საცალო (საკუთარი ქსელი 6 სერვის ცენტრით და 6 ობიექტი ფრანჩაიზის ხელშეკრულებით), ისე საბითუმო და კორპორატიული მიმართულებით.

ასევე კომპანიის საკმეიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სატენდერო გაყიდვები, სადაც კომპანია იგებს ზეთების საერთო ტენდერების დაახლოებით 50%-ს, რაც მნიშვნელოვანი წილია.

2. განვითარების გეგმები:

2024 წლის მიზანი - გაყიდვების 15%-იანი ზრდა 2023 წელთან შედარებით, შესრულებულია, ხოლო 2024 წლის გაცხადებული ზრდის გეგმა 15%, რასაც კომპანია ზედმიწევნით ზუსტდა მიყვება.

2023 წელს მოხდა კომპანიის რებრენდინგი, სავაჭრო ნიშნის ცვლილება და უფრო აქტიურად და მასშტაბურად წარდგენა საცალო მომხმარებლის წინაშე. მოხდა ობიექტების რემონტი და სრული რებრენდინგი. აღნიშნული პროცესი კვლავ მიმდინარეობს გეგმის მიხედვით.

მიმდინარეობს ასევე საცალო ქსელის ოპტიმიზაცია, არამომგებიანი ობიექტების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მარკეტინგული აქტივობის კუთხით, ასევე ახალი ობიექტების დამატების კუთხით. 2024 წელს კომპანიამ გახსნა 1 ახალი ფილიალი ქუთაისში, ხოლო 2024 წელს დაგეგმილია დამატებით 2 ფილიალის გახსნა ბათუმში და თელავში.

3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:


კომპანია სისტემატიურად ატარებს მომსახურების ხარისხის კვლევას მომსახურების ცენტრების მასშტაბით, რაშიც იყენებს მისტიურ მომხმარებლებს. სისტემატიურად ხდება ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების და პროდუქციის შესწავლა, თუმცა ეს შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საკმეიანობის შესახებ :

ამ ეტაპზე კომპანია ფლობს 12 მომსახურების ცენტრს მთელი საქართველოს მასშტაბით. აქედან 6 მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია თბილისში, ხოლო დანარჩენი 6 რეგიონებში. მომსახურების ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ზუგდიდი, ქობულეთი, ახალციხე. ფილიალები ემსახურება როგორც საცალო, ასევე საბითუმო და კორპორატიულ კლიენტებს.

5. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები:

კომპანიის ბრუნვა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 15%-ით, 19,905,759-დან 22,977,283 ლარამდე. მარჯა ბრუნვაზე შემცირებულია 16.8%-დან 13.7%-მდე. ამასთანავე გაზრდილია კომერციული ხარჯები 1,586,958-დან 1,995,092 ლარამდე და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 1,134,641-დან 1,259,419 ლარამდე. გაზრდილია ფინანსური ხარჯიც 304,824-დან 512,551 ლარამდე.



5. ფინანსური და არაფინანსური საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიას 2024 წლის ბოლოს გააჩნია სასესხო დავალიანება კომერციული ბანკების წინაშე 3,716,098 ლარის ოდენობით, რომლის გადახდას კომპანია უზრუნველყოფს რაიმე შეფერხების გარეშე. სესხი აღებულია საბრუნავი სახსრებისთვის, გრძელვადიანი ვადით. სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. აკრედიტივები ძირითადად გამოყენებულია პროდუქციის იმპორტისთვის და წარდგენილია სხვადასხვა მომწოდებლებთან. კომპანიას გააჩნია დადებითი საკრედიტო ისტორია რამდენიმე კომერციულ ბანკთან.

საკრედიტო რისკი

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 2,935,518 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,565,575 ლარი)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო.

ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს კომპანიისთვის მაქსიმალურ ლიკვიდურობის რისკს. აღნიშნული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 8,301,777 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 6,445,876 ლარი)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ღია სავალუტო პოზიცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2024 წლის 31 დეკემბრიდან შედარებით შემცირებულია 3,239,518-დან 1,548,588 ლარამდე.

საჭიროების შემთხვევაში, საბანკო სესხების და ვალდებულებების დროული და შეუფერხებელი მომსახურებისთვის, კომპანიის მფლობელი (დედა კომპანია) გამოთქვამს მზაობას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე. მენეჯმენტი სისტემატიურად აკონტროლებს სასაქონლო ნაშთებს და შესაბამისად გეგმავს საქონლის იმპორტს არსებული გაყიდვების მაჩვენებლების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ლიკვიდურობის შენარჩუნებას. მიმდინარე ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია რაიმე ვადაგადაცილებული ან პრობლემური დავალიანება რომელიმე ბანკის ან მომწოდებლის მიმართ.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანია არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

7. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ:

კომპანიისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს არარეგულირებული ბაზარი და არაჯანსაღი კონკურენცია. მაგალითად საქართველოში საბურავების მთლიანი ბაზრის 70% უკავია მეორად საბურავებს, რომლებიც იმპორტირებულია სხვადასხვა ქვეყნებიდან. მეორადი საბურავის გამოყენება სიცოცხლისთვის საშიშაა და მაღალი რისკების შემცველია, თუმცა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე, აქტუალობას არ კარგავს მეორადი საბურავების ბიზნესი, რასაც ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ახალი საბურავების იმპორტი. მეორადი საბურავები იყიდება 4-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე თუნდაც ჩინეთიდან იმპორტირებული დაბალფასიანი ახალი საბურავი.

პრობლემას ქმნის ასევე არაჯანსაღი კონკურენცია, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება კერძო ინდივიდუალური მეწარმეების მხრიდან გაურკვეველი პროდუქციის შეთავაზებაში კლიენტებისთვის. ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უხარისხო და მეორადი პროდუქციით, რაც ჩვენს კომპანიებისთვის, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიანი და ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქციის იმპორტზე და რეალიზაციაზე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ (გაგრძელება)

არანაირი კონტროლი არ ხდება ქვეყანაში იმპორტირებული საცხებ-საპოხი მასალების ხარისხის და წარმომავლობის შესახებ. ბაზარზე ხშირად ვაწყდებით გაურკვეველი წარმომავლობის ზეთებს, რომლებიც 2-3-ჯერ უფრო იაფია ჩვენს მიერ იმპორტირებულ შედარებით დაბალფასიან ზეთებზე.

მიმდინარე პერიოდში სისტემატიურად გვიწევს გაზრდილ ფასებთან და მაღალ ინფლაციასთან ადაპტირება, რუსეთ-უკრაინის ომის გამო მნიშვნელოვნად გაართულა პროდუქციის მოწოდება სხვადასხვა მომწოდებლის მხრიდან, გაძვირებული და დეფიციტური ნედლეულის გამო, რაც ბუნებრივია აისახება ჩვენს სარეალიზაციო ფასებზე. გვიწევს ახალი მომწოდებლების მოძიება, სადაც ფასი/ხარისხი/მოწოდების სირთულე მეტ ნაკლებად უკეთესი იქნება.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნიკოლოზ ხოდელი

შპს ვისოლ ავტო ექსპრესი

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

7. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ (გაგრძელება)

არანაირი კონტროლი არ ხდება ქვეყანაში იმპორტირებული საცხებ-საპოხი მასალების ხარისხის და წარმომავლობის შესახებ. ბაზარზე ხშირად ვაწყდებით გაურკვეველი წარმომავლობის ზეთებს, რომლებიც 2-3-ჯერ უფრო იაფია ჩვენს მიერ იმპორტირებულ შედარებით დაბალფასიან ზეთებზე.

მიმდინარე პერიოდში სისტემატიურად გვიწევს გაზრდილ ფასებთან და მაღალ ინფლაციასთან ადაპტირება, რუსეთ-უკრაინის ომის გამო მნიშვნელოვნად გაართულა პროდუქციის მოწოდება სხვადასხვა მომწოდებლის მხრიდან, გაძვირებული და დეფიციტური ნედლეულის გამო, რაც ბუნებრივია აისახება ჩვენს სარეალიზაციო ფასებზე. გვიწევს ახალი მომწოდებლების მოძიება, სადაც ფასი/ხარისხი/მოწოდების სირთულე მეტ ნაკლებად უკეთესი იქნება.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 18 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნიკოლოზ ხოდელი